პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 211 (3188)

29 ოქტომბერი, შაბათი. 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

### სსრ კავშირის პირველობა რეგბში

## კიეველები უკეთესად თამაშობდნენ

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 28 ოქტომბერი.

„სპარტაკი" (კიევი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 8:0 (3:0).

**კიევი:** ბაროიანი, რეშეტნიკოვი, მოსკალიოვი, კლინკოვი, დმიტრიევი, ბესჩასტნი, ბაბიი, რაზვოდსკი, სიმონიანი, ბირულია, ტიშიუკი, ტრუში, კუზმიჩენკო, მირონოვი, პეტროსიანი.

**ლენინგრადი:** კოვირინი, დიაკონოვი, კაზაკოვი, აბრამოვი, აპოლონოვი, ბელანენკო, გლიბოვსკი, ბარაბანოვი, ტიმოშჩუკი, კოროლიოვი, პოპოვცევი, ვეპნევი, ბისტროვი, რიჟენკინი, მაკაროვი.

მსაჯი: ვ. ლარიონოვი (ერევანი).

თამაში დაიწყო კიეველთა იერიშებით თავდასხმაში ორივე გუნდმა 8–8 მოთამაშე დააყენა სქემით 3+4+1. ეს სისტემა ერთგვარად ხელს აძლევდა უკრაინელ რეგბისტებს, რომლებიც უფრო ენერგიულად მოქმედებდნენ, მაგრამ კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივმა მცველთა სუსტი მხარდაჭერის გამო დიდხანს ვერ შეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება, ლენინგრადელები კარგად იცავდნენ თავს.

მალე კიეველებმაც დაკარგეს ერთიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა, დროდადრო მაინც იგრძნობოდა სტუდენტების უპირატესობა, რაც მალე ანგარიშშიც გამოიხატა — კიეველთა გუნდის თავი ბირულია გარღვევაზე გავიდა და ცდა წარმატებით დააგვირგვინა — 3:0.

შეხვედრის მეორე ნახევარში ლენინგრადელებმა ტემპს უმატეს და თითქმის მთელი გუნდით იერიშზე გადავიდნენ, მაგრამ მეტოქის დაცვა იოლად გაუმკლავდა მათ. თამაშის ბოლოს ინიციატივას ისევ სტუდენტები დაეუფლნენ. ისინი კარგად იყენებდნენ გვერდით ხაზიდან ბურთის თამაშში შეყვანის სხვადასხვა ვარიანტს. აუტის ერთ-ერთი გათამაშებისას ბაროიანმა გუნდს კიდევ 3 ქულა შესძინა და იქვე ბირულიამ კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი. გაიმარჯვეს კიეველებმა — 8:0.

**გ. ტონია,**
თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელი.



### გუშინ...

თბილისის „დინამოს" სტადიონზე მოეწყო რეგბში სსრ კავშირის პირველობის საზეიმო გახსნა. ფინალურ ასპარეზობაში მონაწილე გუნდებს—მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელსა და „დინამოს", კიევისა და ლენინგრადის „სპარტაკს", თბილისის „ლოკომოტივსა" და „დინამოს" მიესალმა და წარმატება უსურვა თბილისის რეგბის ფედერაციის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ გაიმართა I კალენდარული დღის მესამე შეხვედრა. მინდორზე გამოვიდნენ თბილისის „დინამო" და „ლოკომოტივი". მწვავე ორთაბრძოლა დინამოელთა გამარჯვებით დასრულდა—14:11.

მოსკოვის „დინამოსა" და ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის რეგბისტთა მატჩის დასაწყისი სტუდენტებს კარგს არას უქადდა: დინამოელებმა უმალვე გახსნეს ანგარიში — 8:0. მაგრამ ეს იყო მათი... პირველი და უკანასკნელი წარმატება. სტუდენტები მეტოქეთ გასაქანს არ აძლევდნენ: მგელაძის, გრიგორიანცის, ცირიულნიკოვისა და ვესელოვის თავგამოდებული თამაშის მეოხებით მომავალმა ინჟინრებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და შესვენებამდე ზედიზედ 9 ქულა მოიპოვეს.

„დინამო" მეორე ტაიმში შეეცადა დანაკარგის ანაზღაურებას, მაგრამ ყველა მისი ცდა ამაოდ დაშვრა. უფრო მეტიც,—დინამოელები მოტყდნენ, ყურადღება მოადუნეს და მეტოქეთ კიდევ 5 ქულის მოპოვების საშუალება მისცეს. გაიმარჯვეს სტუდენტებმა — 14:3.

• • •

სურათზე: მოსკოვის გუნდების გუშინდელი შეხვედრის მომენტი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ოლიმპიადის საათები ჩართო

ჰავანა, 27 ოქტომბერი. გუშინ საათები ჩართო მსოფლიოს მოჭადრაკე ვაჟთა XVII ოლიმპიადამ. ამ უდიდეს შეჯიბრებაში 52 ქვეყნის 312 სპორტსმენი მონაწილეობს.

ნახევარფინალური გათამაშების „დებიუტში" საბჭოთა ნაკრები შეხვდა შვეიცარიელებს. პარტიები საბჭოთა მოჭადრაკეების უპირატესობით მიმდინარეობდა და მხოლოდ ერთში — ბ. სპასკისა და ზ. ნილსონის შეხვედრაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ტ. პეტროსიანმა მოუგო მ. იუჰანსონს, ლ. შტეინმა — ე. ვესტმანს. ლ. პოლუგაევსკის უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა ბ. იანსონთან გადადებულ პარტიაში.

დღეს საბჭოთა გუნდი შეხვდა მონაკოს წარმომადგენლებს. ანგარიშია 4:0 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. ამ გამარჯვების „ავტორები" არიან პეტროსიანი, შტეინი, კორჩნოი, სპასკი. წინდღით გადადებულ პარტიაში პოლუგაევსკის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა გუნდს 7,5 ქულა აქვს და იგი I ნახევარფინალური ჯგუფის ლიდერად გვევლინება.

ამდენივე ქულა აქვთ იუგოსლაველებს (II ჯგუფში) და რუმინელებს (VII). დანარჩენ ჯგუფებში დაწინაურდნენ კუბის, ისრაელის, ინგლისისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს ჯერჯერობით მიაღწიეს ოლიმპიადის მასპინძლებმა, რომლებმაც VI ჯგუფში ლიბანისა და ტუნისის მოჭადრაკეთა დამარცხების შემდეგ დააგროვეს 8 ქულა!

ფიდე-ს აქ მიმდინარე კონგრესმა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა: ს. ფურმანს, ვ. ლიბერზონს (ორივე — სსრ კავშირი), ლ. კავალეკს (ჩეხოსლოვაკია) და ვ. პიტჩს (გდრ).

## ოთხ წონაში

ლენინაკანი, 28 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ, მშენებელთა სასახლის დარბაზში, დაიწყო სსრ კავშირის პირადი პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში უმჩატესი, ქვემსუბუქი, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონის მოჭიდავეთათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობს 78 ათლეტი.

**უმჩატეს წონაში** საუკეთესო მდგომარეობა აქვს მსოფლიოს ორაერთგზის ჩემპიონს ს. რიბალკოს. იგი ბრძოლას 5 საჯარიმო ქულით განაგრძობს. 5,5 ქულით II ადგილის მთავარი პრეტენდენტია ესტონელი ოლზონი. ამ წონაში უკვე გამოვლინდა „ბრინჯაოს" პრიზიორი. ესაა აზერბაიჯანელი აგაევი.

**ქვემსუბუქი წონის** ათლეტთა ტურნირს მეორე აზერბაიჯანელი—აგამოვი ლიდერობს (3 ქულა). საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსები აქვთ კარამულინს (უზბეკეთი), ვოლნიცევს (უკრაინა), ზაიცევსა და კნიაზევს (ორივენი — რსფსრ).

**ქვესაშუალო წონაში** დაუმარცხებლად იბრძვის რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ვერშინინი. მას მხოლოდ 2 საჯარიმო ქულა აქვს. ლიდერს ფეხდაფეხ მიჰყვებიან ივლევი, ტელაროვი (ორივენი — რსფსრ) და უკრაინელი ბუსკონი.

**ქვემძიმე წონაში** საპრიზო ადგილებისთვის 4 მოჭიდავე იბრძვის, მათ შორის სამნი — რუსეთის ფედერაციიდან: იაკოვენკო, მერკულოვი და კარამაცკიხი. მეოთხე ათლეტი — ბაკანაჩი — ყირგიზეთიდანაა.

## 81:70

მეხიკო, 27 ოქტომბერი. აქ გაიმართა სსრ კავშირისა და მექსიკის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. თამაში მასპინძლების აზარტული შეტევებით დაიწყო: მე-10 წუთისთვის მექსიკელები 6 ქულით (22:16) დაწინაურდნენ. მაგრამ შემდგომში ინიციატივა ხელთ იგდეს საბჭოთა კალათბურთელებმა, რომლებმაც ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 38:33. სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა; სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა — 81:70.

საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა ა. გომელსკიმ მატჩის შემდეგ აღნიშნა, რომ მექსიკელებმა შინაარსიანად და ტექნიკურად ითამაშეს. მისი აზრით, 1968 წლის ოლიმპიადაში ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები საუკეთესოთა ხუთეულში მოხვდება.

უძლიერესი სამბისტები — სტარტზე! 1-ლი გვ.

მ. ჯინჭარაძის წარმატება მე-2 გვ.

შენიშვნები ინგლისის მსოფლიო პირველობის ირგვლივ მე-3 გვ.

ფეხით... 7500 კმ! მე-4 გვ.

კვლავ მეხიკოს პრობლემა მე-4 გვ.

## „დინამო" (მოსკოვი) — მაროკო 1:1

განვლილ ხუთშაბათს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „დინამოსა" და მაროკოს სამეფო შეიარაღებულ ძალთა ნაკრებ გუნდს შორის.

მთავრობის ლოჟაში იმყოფებოდა მაროკოს მეფე ჰასან II, რომელსაც გამოჩენილმა მეკარემ ლ. იაშინმა საბჭოთა სპორტსმენთა სახელით გადასცა ვიმპელი და ფაიფურის ბურთი.

მატჩი საინტერესო დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა და დამთავრდა ფრედ—1:1. ბურთები გაიტანეს გურდასამ (მაროკო) და მალოფეევმა, რომელიც ამ დღეს მოსკოველთა რიგებში გამოდიოდა.

## პრეს-კონფერენცია ჩემპიონატის წინ

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება სსრ კავშირის პირადი პირველობა სამბოში. ხალიჩაზე გამოვა ჩვენი ქვეყნის 96 უძლიერესი ათლეტი.

სწორედ ამ საინტერესო შეჯიბრებას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სააქტო დარბაზში გუშინ გამართული პრეს-კონფერენცია. იგი ჩაატარა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ სამბოს საკავშირო ფედერაციასთან ერთად.

ჟურნალისტებს ესაუბრნენ საქართველოს სამბოს ფედერაციის თავმჯდომარე გ. ურუშაძე და შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ანდრეევი.

— წლევანდელი ჩემპიონატი, — თქვა ვ. ანდრეევმა, — განსაკუთრებულია როგორც ორგანიზაციის მხრივ, ისე მონაწილეთა სიძლიერით. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ უძლიერესი ათლეტები წლეულს პირველად შეიკრიბებიან თბილისში მას შემდეგ, რაც სამბო ჭიდაობის საერთაშორისო სახეობად იქცა. ეს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თბილისის ჩემპიონატს დაესწრება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რ. კულონი (საფრანგეთი).

პრეს-კონფერენციის დასასრულს მთავარმა მსაჯმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

## უცხოეთში

● ტოკიო, 27 ოქტომბერი. ცნობა ამ მატჩზე გამოქვეყნდა იაპონიის ისეთ გაზეთებშიც კი, რომლებიც ადრე არავითარ ინტერესს არამჟღავნებდნენ ფრენბურთისადმი. ხუმრობა ხომ არაა: მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა, ლეგენდარული კლუბის „ნიჩიბო კაიძუკას" სპორტსმენმა ქალებმა წააგეს. აღსანიშნავია, რომ დაწყებული 1959 წლიდან, „ნიჩიბომ" 258 მატჩი ჩაატარა დაუმარცხებლად. და აი, პირველი მარცხი მათ იწვნიეს მეორე იაპონურ კლუბ „იასიკა-კამერა-ვერქსგან", რომელმაც ზედიზედ 40 გამარჯვება იზეიმა. ცნობილი ფრენბურთელების ორთაბრძოლამ 2 საათსა და 16 წუთს გასტანა და „იასიკას" გამარჯვებით დამთავრდა — 3:2 (2:15, 15:12, 15:10, 6:15, 15:10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

# სინამდვილე და პერსპექტივა

კომკავშირის გორის საქალაქო კომიტეტისა და სპორტკავშირის საქალაქო საბჭოს აქტივის კრებამ, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, საფუძვლიანად იმსჯელა საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადისთვის ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივების მზადების შესახებ. მოხსენებით გამოვიდა სპორტკავშირის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. მეყანწიშვილი.

მან აღნიშნა, რომ განვლილ პერიოდში იმმთ-ს, მმთ-სა და მოზარდთა თანრიგის ნორმატივები შეასრულა 2.832-მა კაცმა, პირველი თანრიგისა და ოსტატობის კანდიდატის ნორმა — 47-მა, მომზადდა 5 სპორტის ოსტატი და 1 საერთაშორისო კლასის ოსტატი.

როგორც მომხსენებელმა თქვა, მიმდინარე ხუთწლედში ქალაქის ფიზკულტურელთა რაოდენობა 12 ათასამდე გაიზარდა. სპორტის სხვადასხვა სახეობაში მომზადდება 20 სპორტის ოსტატი, ასობით თანრიგოსანი და ფიზკულტურის საზოგადოებრივი კადრები.

— საქალაქო ფიზკულტურული ორგანიზაციები, — განაგრძო გ. მეყანწიშვილმა, — გაცილებით მეტ წარმატებას მიაღწევდნენ, რომ რიგ საწარმო-დაწესებულებებში საქმეს უსულგულოდ არ ეკიდებოდნენ. ქარხანა „გორიხელსაწყოში“, სადაც ერთ დროს ჩქეფდა ფიზკულტურული მუშაობა, კარგა ხანია მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა. უარესი მდგომარეობაა ავტოსატრანსპორტო კანტორებში. ხორცკომბინატში, ლუდლიმონათის ქარხანაში, გორვაჭრობაში და სხვ.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ძალოსნობის, კრივის, ფარიკაობის, აკრობატიკის, მხატვრული ტანვარჯიშის, ველო და საწყლოსნო სპორტის განვითარებას. ამას ხშირად მხოლოდ ბაზების უქონლობით ხსნიან, მაგრამ მთლად ასე როდია. უახლოეს წლებში ქალაქში მოეწყობა კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ფეხბურთის და სხვა ათობით მოედანი, განზრახულია გაისად დაიწყოს საცურაო აუზის მშენებლობა, აიგება დიდი სპორტული დარბაზი.

საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადისთვის გულდასმით ემზადებიან „განთიადისა“ და „ბურევესტნიკის“ კოლექტივები. განსაკუთრებით ქების ღირსია [illegible] კომბინატის ფიზკულტურული ორგანიზაცია, რომელმაც [illegible] ბაში ჩაატარა [illegible] სპარტაკიადა. მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადაში 5.000-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა და სხვ. ამას ვერ ვიტყვით „სპარტაკისა“ და „დინამოს“ საბჭოებზე.

აქტივის კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებების გეგმა.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

# „ბრინჯაოს“ კარმიდან

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცვსკ ვმფ | 22 | 20 | 1 | 1 | 94—50 | 41 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 22 | 11 | 9 | 2 | 90—62 | 31 |
| „დინამო“ (თბილისი) | 22 | 14 | 2 | 6 | 97—78 | 30 |
| „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) | 22 | 13 | 4 | 5 | 73—55 | 30 |
| „დინამო“ (ლვოვი) | 22 | 10 | 5 | 7 | 89—82 | 25 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 22 | 10 | 4 | 8 | 70—60 | 24 |
| „დინამო“ (კიევი) | 22 | 8 | 8 | 6 | 64—61 | 24 |
| „ბალტიკა“ (ლენინგრადი) | 22 | 8 | 6 | 8 | 85—78 | 22 |
| კკფ (ბაქო) | 22 | 4 | 5 | 13 | 66—84 | 13 |
| „შრ. რეზერვები“ (მოსკოვი) | 22 | 2 | 6 | 14 | 65—86 | 10 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 22 | 1 | 6 | 15 | 52—109 | 8 |
| „ტრუდი“ (მოსკოვის ოლქი) | 22 | 2 | 2 | 18 | 77—117 | 6 |

უძლიერეს წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნით დღეს, 22 ოქტომბერს, ცსკა-ს საცურაო აუზში უნდა გარკვეულიყო ბედი II და III საპრიზო ადგილებისა, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებდა ერთბაშად 3 გუნდი — მოსკოვის „ტორპედო“, მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივი და თბილისის „დინამო“. ჩემპიონობა, როგორც ცნობილია, უკვე ტურნირის დამთავრებამდე ჰქონდათ განაღდებული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბის (ცვსკ ვმფ) სპორტსმენებს, რომლებმაც მთელი შეჯიბრება თანაბარი სიძლიერით ჩაატარეს, 20 გამარჯვება იზეიმეს და მხოლოდ 3 ქულა დაკარგეს (მოსკოველ სტუდენტებთან ორ მატჩში). მეზღვაურებს კარგა ხანს მიჰყვებოდნენ კვალდაკვალ მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელები, მაგრამ ზედ ფინიშთან 5 ქულის დაკარგვით (ლენინგრადის „ბალტიკასთან“ — 2:3, კიევის „დინამოსთან“ — 1:2 და მოსკოვის „ტორპედოსთან“ — 0:0) სტუდენტმა სპორტსმენებმა, პირდაპირ რომ ვთქვათ, ერთბაშად ჩაყარეს წყალში მთელი წლის შრომა. ბოლო ტურის მატჩში — „ტორპედოსთან“ — უნივერსიტეტის გუნდმა, რატომღაც, მშვიდობიანი ბრძოლა არჩია. ეს ხელს აძლევდა „ტორპედოს“ II საპრიზო ადგილისათვის ბრძოლაში: ფრემ ავტოქარხნელებს მეტი სარგებლობა მოუტანა, ვიდრე მათ მეტოქეებს. ეს უკანასკნელნი თავიანთ შეცდომას მაშინღა მიხვდნენ, როცა თბილისისა და ლვოვის დინამოელთა მატჩი საკმაოდ უჩვეულოდ დაიწყო: ლვოველები, ალბათ, არ მოელოდნენ თბილისელთა ძალზე აზარტულ, თანაც მიზანმსწრაფ თამაშს. გუნდის ყოველი წევრი მაქსიმალური ენერგიით მოქმედებდა. ლვოველებმა ვერაფერი იღონეს. ბურთი ზედიზედ გადიოდა უკრაინელ წყალბურთელთა კარში და თბილისის „დინამო“ მეთოდურად მიიწევდა „ბრინჯაოს სამედლოსკენ“. უკანასკნელი პერიოდის მიწურულში გ. ჩიქვანაიამ მეშვიდე, გადამწყვეტი ბურთი რომ გაიტანა, ეს უკვე ნიშნავდა III საპრიზო ადგილს, რომლის მფლობელები გახდნენ ლ. გოგოლაძე, მ. გულედანი, ი. სხირტლაძე, ვ. სანაძე, ბ. მეგედი, ჯ. ინწკირველი, ო. მიმინოშვილი, ვ. ისელიძე, რ. ოჩიგავა, გ. ჩიქვანაია.

დიდი იყო თბილისელ წყალბურთელთა სიხარული. ლვოვის გუნდთან მატჩის შემდეგ ის მოთამაშეები, რომლებიც ამ დროს აუზში არ იყვნენ, წყალში გადაეშვნენ და მეგობრებს გადაეხვივნენ, ერთად იზეიმეს გამარჯვება. თბილისის „დინამოს“ საპრიზო ადგილი, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყო გუნდში მისი ვეტერანების — ლ. გოგოლაძისა და, განსაკუთრებით, გ. ჩიქვანაიას დაბრუნებამ. სპეციალისტების აზრით, იგი უძლიერესი იყო მოსკოვის ტურში. როგორც წყალბურთის ვეტერანმა, სპორტის ოსტატმა, ამჟამად საკავშირო რადიოს სპორტულმა კომენტატორმა ვ. რაშმაჯანმა თქვა, გივი ჩიქვანაია — ეს მთელი გუნდია.

შესანიშნავად ითამაშა „დინამოს“ ახალგაზრდა წყალბურთელმა ვ. ისელიძემ, რომელიც უფროს კოლეგებთან ერთად სჭედდა ჩვენი გუნდის გამარჯვებას. ეს 19 წლის ჭაბუკი მეტოქეთა მეკარეებს ნამდვილ რისხვად მოევლინა. მისი მაღალტექნიკური დარტყმა ძალიან ხშირად აღწევდა მიზანს, ასე რომ, ისელიძის სახით „დინამომ“ დიდი მომავლის წყალბურთელი შეიძინა.

თანაგუნდელებს მხარი კარგად აუბეს, გამარჯვებისადმი დიდი ლტოლვა გამოავლინეს ვ. სანაძემ, რ. ოჩიგავამ, ჯ. ინწკირველმა, ი. სხირტლაძემ, ბ. მეგედმა.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ ვინ შეიძლება განსაკუთრებით გამოიყოს თბილისის „დინამოს“ კოლექტივიდან, გუნდის მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. გვახარიამ გვიპასუხა:

— ყველა თავდაუზოგავად იბრძოდა წარმატებისთვის და ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რათა ჩვენს გამარჯვებაში საკუთარი წვლილი შეეტანა.

ნ. გვახარია მართალია. თბილისის დინამოელები უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას. აბა, გენახათ რა სიმწარე იყო აღბეჭდილი ყოველი ჩვენი მოთამაშის სახეზე, როცა „ტორპედოსთან“ მატჩი ერთადერთი შეცდომის შედეგად წააგეს.

საერთოდ, ჩემპიონატმა ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება. თბილისელთა გარდა, ყველა კოლექტივი ერთნაირი ტაქტიკური და ტექნიკური ნახაზით ატარებდა მატჩებს. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მსგავსი შეხვედრა გუშინაც, გუშინწინაც ნახე და გული მოგდის, რომ წყალბურთელები საინტერესო თამაშით ვერ გახარებენ.

ამიტომ შეუძლებელია არ დაეთანხმო სახელმოხვეჭილი წყალბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის პ. მშვენიერაძის შენიშვნას: „ჩემპიონატში გუნდებმა ვერ გვიჩვენეს ტაქტიკური და ტექნიკური სიახლეები. მართალია, თითქოს შეიმჩნევა მოთამაშეთა ოსტატობის ზრდა, მაგრამ თანამედროვე წყალბურთისთვის ეს არ კმარა. მწვრთნელები ნაკლებად ზრუნავენ მაღალი კლასის თავდამსხმელების აღზრდისთვის, ამჯობინებენ გუნდში იყოლიონ თითოოროლა საშუალო კლასის მცველი, რომ ამით ფონს იოლად გავიდნენ. გაუფერულდა შეხვედრების სანახაობრივი მხარეც. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ თავდამსხმელებზე აშკარად ნადირობენ მეტოქეთა მცველები. უამრავი საჯარიმო დარტყმა კი, სხვა რომ არა, ერთობ მოსაწყენია. საჭიროა წესების შეცვლა. ამჟამად წყალბურთი თითქოს რეგბის წააგავს, სადაც გარკვეული ძალისმიერი თამაშია ნებადართული. კარგი იქნებოდა წყალბურთის წესები კალათბურთისას ჰგავდეს. მაშინ იგი უფრო საინტერესო, მიმზიდველი გახდებოდა. რაც შეეხება თბილისის „დინამოს“ თამაშს, — თქვა დასასრულ პ. მშვენიერაძემ, — გუნდი მეტად პერსპექტიულია და დიდი პოტენციური შესაძლებლობებიც აქვს. „დინამოს“ ბევრი ნიჭიერი წყალბურთელი ჰყავს და მომავალ საკავშირო ჩემპიონატში მან უფრო მაღალი შედეგებისთვის უნდა იბრძოლოს“.

თ. ჭიჭინაძე.
(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

• • •

უძლიერეს წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში კარგად ითამაშა თბილისელმა დინამოელმა რ. ოჩიგავამ.



ს უ რ ა თ ზ ე: რ. ოჩიგავა მეტოქესთან ორთაბრძოლის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## ნაკრებში — 6!

კიევში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. აქვე გათამაშდა ჩემპიონობა ცალკეულ იარაღებზეც.

საქართველოს კოლექტივმა საერთო გუნდურ ჩათვლაში IV ადგილი დაიკავა უკრაინის, რუსეთის ფედერაციისა და მოსკოვის გუნდების შემდეგ.

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ქალთა კოლექტივებს შორის. შეჯიბრების ლიდერი ყოველი იარაღის შემდეგ იცვლებოდა. ჩვენების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს და დაისაკუთრეს საპატიო II ადგილი რუსეთის ფედერაციის ძლიერი გუნდის შემდეგ. ჩვენს ქალებს განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად პირად შეჯიბრებაში. სტუდენტთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა მაგული ჯინჭარაძემ—37,5 ქულა. ამას გარდა, მან 3 მეორე ადგილი დაიკავა ცალკეულ იარაღებზე ასპარეზობისას (ღვირი, ორძელი, თავისუფალი ვარჯიში). სასიხარულოა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტის ციხანა ქვადუას წარმატებაც. მრავალჭიდში იგი III ადგილზე გავიდა, ბჯენით ხტომებსა და ორძელზე კი — ჩემპიონობა მოიპოვა. ღვირზე ვარჯიშში III პრიზი დაისაკუთრა ზ. იასკომ.

ვაჟებში თავი ისახელა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა ს. სხირტლაძემ, რომელმაც ყველას აჯობა რგოლებზე ვარჯიშში. ბჯენით ხტომებში III ადგილზე ჭ. გელოვანი.

„ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებ გუნდში ჩვენი რესპუბლიკის 6 ტანმოვარჯიშე მოხვდა.

ო. ქორქია.



ს უ რ ა თ ზ ე: მ. ჯინჭარაძე თბილისში წვრთნისას.

ფოტო ი. იუნაევისა.

# სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ლელო I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 29 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 30 | 20 | 9 | 1 | 60—12 | 49 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 31 | 15 | 8 | 8 | 48—24 | 38 |
| ასკ (როსტოვი) | 31 | 16 | 6 | 9 | 47—42 | 38 |
| ცსკა | 30 | 15 | 7 | 8 | 56—39 | 37 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 30 | 14 | 8 | 8 | 47—30 | 36 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 30 | 9 | 15 | 6 | 31—26 | 33 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 29 | 12 | 9 | 8 | 37—33 | 33 |
| „დინამო“ (თბილისი) | 30 | 11 | 10 | 9 | 38—28 | 32 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 31 | 11 | 10 | 10 | 39—32 | 32 |
| „დინამო“ (მინსკი) | 33 | 10 | 12 | 11 | 34—36 | 32 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 30 | 13 | 6 | 11 | 28—30 | 32 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 31 | 11 | 10 | 10 | 26—30 | 32 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 32 | 8 | 12 | 12 | 25—33 | 28 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 33 | 10 | 8 | 15 | 33—48 | 28 |
| „არარატი“ (ერევანი) | 31 | 9 | 10 | 12 | 23—41 | 28 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 32 | 10 | 4 | 18 | 30—43 | 24 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 32 | 4 | 14 | 14 | 18—38 | 22 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 29 | 7 | 6 | 16 | 34—52 | 20 |
| ასკ (ოდესა) | 31 | 1 | 10 | 20 | 13—50 | 12 |

## 5:0

ტაშკენტი, 28 ოქტომბერი. გუშინ აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: „პახტაკორი“ — ასკ (ოდესა).

ტაშკენტელებმა მოწინააღმდეგე დიდი ანგარიშით დაამარცხეს — 5:0. 3 ბურთი გაიტანა კრასნიცკიმ, თითო — ინოიატოვმა და აბდურაიმოვმა.

## ერთადერთი საგზურისთვის

დაიწყო „ა“ კლასის II ჯგუფის სამ ქვეჯგუფში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირი, რომლის მონაწილენი არიან: „ჟალგირისი“ (ვილნიუსი), „ზარია“ (ლუგანსკი), „პოლიტოტდელი“ (ტაშკენტის ოლქი). გათამაშება წარმოებს ორ წრედ — საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე. I ადგილზე გასული გუნდი გაისად ითამაშებს უმაღლეს ლიგაში.

პირველი მატჩი შედგა ვილნიუსში „ჟალგირისსა“ და „ზარიას“ შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 0:0.

# ნეტარ არიან მორწმუნენი!

მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატი უკვე ორთვენახევარზე მეტია დამთავრდა, მაგრამ მიძინებული ვულკანისა არ იყოს, ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, თავს წამოყოფს ხოლმე და მისი ექო დედამიწის ხან რომელ კუთხეში გაისმის, ხანაც რომელში... უკვე ვგრძნობთ ზოგიერთის უკმაყოფილო მზერას: ორთვენახევარი რა ისეთი დროა! ინგლისის ჩემპიონატი კიდევ დიდხანს იქნება მთელი სამყაროს ფეხბურთელთა და სპეციალისტთა კვლევა-ძიებისა და შესწავლის საგანიო, — შეგვეკამათებიან ისინი.

ეს, მართლაც, ასეა. მაგრამ გაღვიძებული ვულკანის ექოში ჩვენ ვგულისხმობთ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს (არგენტინა, შოტლანდია, შვეიცარია და სხვ.) საქვეყნოდ გახმაურებულ და, ჩვენი აზრით, არც თუ დაუსაბუთებელ მოთხოვნებს — რადიკალურად შეიცვალოს ჩემპიონატის ჩატარების წესი და რიგი.

ეს მოთხოვნები ბევრ ფაქტსა და მოსაზრებაზეა დაფუძნებული. ქეშმარიტად აქვს უკმაყოფილების საბაბი არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას. ამ ქვეყნის ნაკრებს ინგლისში ძალიან უსინდისოდ მოექცნენ: არგენტინელთა კაპიტნის რატინის გაძევება ინგლისელებთან მეოთხედფინალურ მატჩში აშკარა უსამართლობა იყო. დასავლეთგერმანელი მსაჯი კრაიტლაინი საკმაოდ მაღალი რანგისა გახლავთ. ჩვენ რამდენიმეჯერ ვნახეთ მისი არბიტრობა და უნდა გითხრათ: კარგი მსაჯია. ამჯერად, ინგლისისა და არგენტინის ნაკრებთა შეხვედრაში, მან ერთობ ბარბაად იცოდა თავისი საქმე.

არასოდეს დამავიწყდება ფეოლას ნაღვლიანი სახე ლონდონიდან გამოფრენის დღეს. იგი საოცრად სევდიანი თვალებით გაჰყურებდა აეროდრომის ბეტონის ბილიკს, რომელზეც მეტისმეტად იმედიანი დაჯდა ამ სამი კვირის წინათ და რომელსაც დღეს ასე ხელმოცარული უნდა აეშვა ცაში. და აი, ფეოლამ გვითხრა:

— ინგლისელებს ერთხელ მიეცათ ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შესაძლებლობა და ისინი ამ შანსს, ცხადია, ხელიდან არ გაუშვებდნენ.

რამდენი რამ იმალებოდა ამ სიტყვებში!..

არ გეგონოთ, რომ მასპინძელთა ნაკრები ღირსი არ იყო ჩემპიონის წოდებისა. ინგლისის სტადიონებზე მოასპარეზე 16 გუნდიდან, ჩვენი აზრით, 5 კოლექტივი საგრძნობლად ჯობდა დანარჩენებს და ამ ხუთეულიდან ყველას თანაბრად და ღირსეულად დაშვენდებოდა ოქროს ბრწყინვალება. ეს ხუთეული იყო: უნგრეთი, ინგლისი, გფრ, პორტუგალია, არგენტინა.

აბა, რას გულისხმობდა ვატერლოოგადამხდარი ფეოლა თავის სიტყვებში?

ბევრ, ერთი შეხედვით, წვრილმან მომენტს, რომლებმაც საბოლოო ჯამში ნერვები დაუმშვიდა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს. ეს კი პატარა ამბავი როდი იყო! მით უმეტეს, რომ მასპინძლები, მღელვარებისა თუ კიდევ სხვა მიზეზთა გამო, თავდაპირველად, ქვეჯგუფის მატჩებში, საკმაოდ „ჩვეულებრივად" გამოიყურებოდნენ.

მაშ ასე: იგრძნობოდა ჩემპიონად ინგლისის ნაკრების „გათრევის" ტენდენცია. ამ ერთგვარად უხერხული მოსაზრების დასამტკიცებლად მკითხველს შევვიძლია გავახსენოთ ინგლისელთა გუნდის აშკარად პრივილეგირებული მდგომარეობა: საუცხოო რეგლამენტი, შეხვედრები ქალაქიდან (ლონდონიდან) გაუსვლელად, მსაჯებისადმი გადამეტებულ სტუმართმოყვარეობას ნებსით თუ უნებლიედ მოყოლილი ფსიქოლოგიური გავლენა (ზემოქმედებაზე იქნებ მეტისმეტია ლაპარაკი!), ერთ შემთხვევაში — კარტის ჩაწყობ ი ს მსგავსი რამაც (მხედველობაში მაქვს მეოთხედფინალური მატჩები: ინგლისი — არგენტინა, გფრ — ურუგვაი, დასავლეთგერმანელი (კრაიტლაინი) და ინგლისელი (ფინეი) მსაჯების მომსახურებით — პრინციპით: ხელი ხელს ბანს...)

ყოველივე ამან პირადად ჩემზე (და ჩემს ბევრ ამხანაგზე) უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ინგლისის ეროვნულმა გუნდმა, ბოლოსდაბოლოს, მაინც საკადრისად დაიდგა თავზე ჩემპიონის გვირგვინი: მან სწორედ ჩემპიონის სტილში, შესანიშნავად ჩაატარა ნახევარფინალური და ფინალური მატჩები. მაგალითად, პორტუგალიელებთან მასპინძელთა ნახევარფინალური მატჩი (რომელიც საოცრად მაღალ დონეზე იმსაჯა ფრანგმა შვინტემ) — ეს იყო თანამედროვე ფეხბურთის ნაღდი ქრესტომათია! თამაშის შემდეგ ჯერ ჩვენი ცნობილი მწვრთნელი ვახტანგ რამიშვილი შემხვდა, მერე ჩვენი სასიქადულო ბორის პაიჭაძე და ორივემ ერთნაირი ფრაზა მომაძახა: „აი, თურმე როგორ შეიძლება ფეხბურთის თამაში!" რაღა მეთქმოდა — მწვანე მინდორზე მსგავსი რამ მე, მით უმეტეს, არასდროს მენახა. რაღაც წარმოუდგენლად გახარებული, ამაყი და ბედნიერი ვიყავი: თანამედროვე ფეხბურთის სიდიადითა და ინტელექტით გახარებული, ამაყი და ბედნიერი.

ინგლისელებმა ფინალურ მატჩშიც თვალნათლივ გვიჩვენეს, რომ დაძაბულობის ბორკილები მათ ქვეჯგუფის ტურნირის მოლიპულ გზებზე მოიხსნეს და იქვე დატოვეს.

ფინალი: ინგლისი — გფრ — ეს იყო გლადიატორთა ბრძოლა! ეს იყო ვაჟკაცური და უაღრესად ღრმაშინაარსიანი, უშეღავათო ჭიდილი ღირსეული მეტოქეებისა, რომლებმაც კიდევ ბევრს ათქმევინეს: „აი, თურმე როგორ შეიძლება ფეხბურთის თამაში!"

საქმე ის გახლავთ, რომ ზემოაღნიშნული ნახევარფინალური მატჩისგან იგი თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა. არა, კლასითა და დონით კი არა! ეს უფრო ატლეტური და მკაცრი შეხლა იყო, უფრო რაციონალისტების შეხვედრა, აშან მეტოქეთა უფრო მეტი ჯაფა და ნებისყოფა მოითხოვა (120 წუთი — ხუმრობა საქმეა?!). განსხვავდებოდა აქედან გამომდინარე სხვა დეტალებითა და ნიუანსებით.

ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენ სამი საინტერესო რამ „აღმოვაჩინეთ".

1. ᲧᲑᲐᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ 4—2—4 ᲛᲘᲗᲘᲣᲠᲝᲑᲐ. ამ სისტემით გუნდები მოქმედებდნენ მხოლოდ მსაჯის საწყისი სასტვენის წინ, ე. ი. კი არ მოქმედებდნენ, მხოლოდ განლაგდებოდნენ ხოლმე. როგორც კი მსაჯი თამაშის დაწყების ნიშანს მისცემდა, სადღა იყო ეს 4—2—4! უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ვხედავდით განლაგებას 4—3—3 და უფრო იშვიათად 4—4—2 (კორეელთა დაუღალავი გუნდი კი რომ ავიღოთ, ისინი ფეხბურთის მინდორზე, ასე ვთქვათ, კალათბურთს თამაშობდნენ, თანაც პრესინგიან კალათბურთს). 4—2—4 კი არ ჩანდა და ამ ქარგით მხოლოდ მისი ავტორები— ბრაზილიელები თუ თამაშობდნენ. ერთი სიტყვით, ყოველი გუნდი თავისი რეალური შესაძლებლობებიდან (შემსრულებლებიდან) გამოდიოდა.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ერთი გულისტკივილი გვსურს გაგიზიაროთ. თავისთავად ძალიან პროგრესულმა და ეფექტურმა ბრაზილიურმა სისტემამ გილიოტინასთან მიიყვანა ფეხბურთის ისეთი შესანიშნავი ინსტიტუტი, როგორიც შუამარბების ინსტიტუტი იყო. მიიყვანა და თავიც მოჰკვეთა! ეს მეტისმეტად დაუნდობელი ნაბიჯი გახლდათ და მან პირადად მე ძალზე დამწყვიტა გული. თავს ნაწილობრივ იმით ვინუგეშებ, რომ ბევრი დღევანდელი ნახევარმცველი რაღაცნაირად მაინც ჰგავს შუამარბს. მაგრამ ინგლისის სტადიონებზე უარესი სურათი ვიხილეთ: ზოგიერთ თამაშში საერთოდ არ ჩანდნენ... გარემარბები! გავიხსენოთ, თუნდაც, საბჭოთა ნაკრების შეხვედრა პორტუგალიელებთან: ჩვენი გუნდი უმარცხენაგარემარბოდ თამაშობდა. სერებრიანიკოვი, რომელიც ვითომ მარცხენა გარემარბი იყო, ერთხელაც არ გამოჩენილა მარცხენა ფრთაზე — იგი კეთილსინდისიერად ა ს რ უ ლ ე ბ დ ა მწვრთნელის დავალებას — უკან, ზურგში მოქმედებდა. ჩვენს მარცხენა ფლანგზე კი შექმნილი იყო ვაკუუმი, რომლის ამოვსებაზე არავინ ფიქრობდა.

ყოველივე ამან, ცხადია, დიდად შეანელა სსრ კავშირის ნაკრების საიერიშო პოტენციალი და პორტუგალიელთა მცველებს საგრძნობლად გაუიოლა ცხოვრება. უგარემარბებოდ თამაში ფრთებდალეწილი არწივის ამაო მოძალებას, ფაფხურს შეიძლება შეადაროს კაცმა.

2. ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲗᲐ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ. ეს პირდაპირ საკვირველი იყო. ბევრ გუნდს მხოლოდდამხოლოდ მეკარემ და სწორედ მეკარემ გამოჭრა ყელი. მაგალითები? ინებეთ: ბულგარელებმა ნაიდენოვის „წყალობით" წააგეს მატჩი ბრაზილიელებთან; ბრაზილიელი მანგა ძალიან სუსტად იდგა პორტუგალიელებთან ორთაბრძოლაში, ხოლო მანამდე ჟილმარი — უნგრელებთან. უნგრელმა გელეიმ ორივე გოლი აჩუქა საბჭოთა ნაკრებს, ხოლო მანამდე სენტ-მიხაიმ ასეთივე „საჩუქარი" მიართვა პორტუგალიელებს...

საკმარისი ხომ არ არის მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზე მეკარეთა რეპუტაციისთვის?

მეკარეები მეტისმეტად ხშირად ცდებოდნენ, მაგრამ არც ამაშია საქმე. მათი მოქმედება საოცრად პრიმიტიული და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძალზე შეუხედავი იყო (მარტო მუცელზე ვარდნით ბურთის აღება რად ღირდა! სწორედ ამ უხეირო და ულამაზო ხერხის გამო მკერდიდან აერეკლა პირდაპირ დარტყმული ბურთი პორტუგალიელთა მეკარე პერეირას და ბ. ჩარლტონმა იგი დაუყოვნებლივ გაგზავნა კარში).

ცხადია, ეს საყვედური ყველაზე არ ითქმის. კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ბენქსი (ინგლისი), კარბახალი (მექსიკა), ტილკოვსკი (გფრ) და, განსაკუთრებით, ჩვენი მეკარეები — იაშინი და კავაზაშვილი. ჩემი აზრით, აშკარად გაბერილია უცხოელი მეკარეების სახელი და ავტორიტეტი. და უკვე სავსებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მეკარეების ბადალი მთელს დედამიწაზე არ მოიპოვება. მარტო ქართული ფეხბურთის კარის ერთგული დარაჯების — დოროხოვის, ტყებუჩავას, მარღანიას (რომ არაფერი ვთქვათ ახლა მოთამაშე მეკარეებზე) გახსენებას უყოყმანოდ მივყავარ დასკვნამდე: სად, უცხოეთის რომელ გუნდებში დგანან ამხელა მეკარეები?! მერწმუნეთ, არც ერთში!

3. ᲣᲮᲔᲨᲝᲑᲐ. ამას კი, მართალი გითხრათ, არ მოველოდი. არ მეგონა, რომ უხეში ძალა მთელ რიგ მატჩებში ასე გაუკითხავად დათრგუნავდა ტექნიკას. და აი, აქ, ბუნებრივია, ალავერდს ისევ მსაჯებთან გადავდივარ. უნდა გენახათ, რა გულცივად ხუჭავდა თვალს ბრაზილიელებთან (ისინი ხომ თავდაპირველად ინგლისელების მთავარ მეტოქედ მიაჩნდათ!) ბულგარელებისა და პორტუგალიელების ალვირახსნილ, დაუნდობელ გამოხდომებზე საქვეყნოდ ცნობილი მსაჯები — დასავლეთგერმანელი ჩენჩერი და ინგლისელი მაკ-კეიბი (ისინი ცნობილი არიან სწორედ როგორც უხეშობის წინააღმდეგ მამაცურად და აქტიურად მებრძოლნი). საცოდავ პელეს პორტუგალიელებმა პირდაპირ შავი დღე აყარეს — ფეხებზე ცლებდი და ჩაქურები გამოიბეს და ცელეს და ურტყეს. სხვა დროს, სხვა სიტუაციაში მსაჯი ამის სანახევრო უხეშობაზე სასტვენს პირიდან არ გამოიღებდა, ახლა კი...

აღმაშფოთებელი სწორედ ეს იყო: მსაჯმა, უბრალოდ, სასიკვდილოდ გაიმეტა ბრაზილიელებიც და პორტუგალიელებიც (პელეს გუნდმა „მხარი აუბა" მეტოქეს) და სფინქსის პოზა დაიჭირა იქნებ ამას თავისი შავბნელი ქვეტექსტი ჰქონდა: ლეწეთ ერთმანეთი, ერთიცა და მეორეც ინგლისის კონკურენტები ხართო. ვინ იცის, იქნებ...

ასეა თუ ისე, ყოველივე ეს მასპინძელთა წისქვილზეასხამდა წყალს.

და ისევ მახსენდება ფეოლას სიტყვები, ლონდონის აეროდრომზე რომ გვითხრა 1 აგვისტოს:

— ჩვენ მხოლოდ ერთი გუნდი გვეთამაშა რაინდულად — უნგრეთის ნაკრები.

რახან ბრაზილიელებზე ჩამოვარდა სიტყვა, გეტყვით, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისა და ფეხბურთის დიდი რეფორმატორის მარცხი კანონზომიერ მოვლენად მეჩვენა, თუმცა, ასეთი რამ ყველასათვის მოულოდნელი იყო. ბრაზილიელთა კრახის უმთავრეს მიზეზად გუნდის ხელმძღვანელთა კონსერვატიზმი მიმაჩნია: არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ინგლისში ასეთი ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ჩასვლა. ყველაფერს თავისი დრო აქვს და „ჟამთა სიავე" არავის აპატიებს მის აბუჩად აგდებას, უგულებელყოფას. ჯ. სანტოსმა, ბელინიმ, ორლანდომ წელთა სიმძიმე არად ჩააგდეს და მწარე გაკვეთილიც იწვნიეს: ისინი, უკვე მოუქნელი და სისწრაფედაკარგული ფეხბურთელები, პირდაპირ უსუსურად გამოიყურებოდნენ პორტუგალიისა და უნგრეთის თავდამსხმელ-„სლალომისტთა" პირისპირ ბრძოლაში. ალბერტი, მაგალითად, მინდვრის სრული ბატონ-პატრონი იყო ბრაზილიის ნაკრებთან შესანიშნავ მატჩში და არტისტულად აკეთებდა იმას, რასაც კი მოისურვებდა. ასევე „უმოწყალოდ" გაუსწორდა ორგზის ჩემპიონთ პორტუგალიის ნაკრების ლიდერი — ეუსებიო.

ალბერტისა და ეუსებიოს — ამ ბრწყინვალე, დახვეწილი, უაღრესად ემოციური სპორტსმენების გახსენებასთან დაკავშირებით ასეთი აზრი მსურს მოგახსენოთ: ფეხბურთს, გარდა წმინდა სპორტული ფუნქციისა, სხვა დანიშნულებაც აქვს — იგი სანახაობაა და, ამდენად, მან ესთეტიური ტკბობა, სიამოვნება უნდა მიანიჭოს მაყურებელს. და ვინაიდან ფეხბურთს ფეხბურთელები თამაშობენ, ეს დებულება მათაც ასევე ეხებათ. მართალია, ბევრი გუნდისადმი (მათ შორის, სსრ კავშირის ნაკრებისადმიც) ამგვარი საზომით მიდგომა სადღეისოდ ზღაპარია და მათთვის ეს „ზედმეტი" კატეგორიები (სილამაზე, არტისტიზმი, ემოციური ზეგავლენა), ასე ვთქვათ, ფუფუნების საგანია, მაგრამ ეს სულაც არ ამტკიცებს ჩვენი მოსაზრების მცდარობას. მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპში მოასპარეზე გუნდებში უნდა იყვნენ ლამაზად, კოხტად, პეწიანად მოთამაშე სპორტსმენები (ასეთად არასოდეს წარმოგვიდგება უტექნიკო ფეხბურთელი).

ყველაფერს რომ დავანებოთ თავი, ინგლისში მაყურებელი განსაკუთრებით სწორედ იმ გუნდს გულშემატკივრობდა, რომლისგანაც მაქსიმალურ ესთეტიურ ტკბობას იღებდა. იქნებ ამიტომაც მომეწონა პირადად მე უნგრეთის ბრწყინვალე ნაკრები ყველაზე მეტად! იქნებ, სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე თქვეს „ფუტბოლის" მთავარი რედაქტორის მოადგილემ ლ. ფილატოვმა და ცნობილმა მსაჯმა ნ. ლატიშევმა: მესხი რომ აქ ყოფილიყო, ჩვენს გუნდს გაცილებით მეტი გულშემატკივარი გაუჩნდებოდაო.

თორემ რა იყო: რომელ ემოციებსა და ესთეტიზმზე შეიძლება ლაპარაკი, როცა გუნდში იყვნენ მალოფეევი (მაპატიოს ნ. მოროზოვმა), ბარკუიანი, აფონინი, კორნეევი და ზოგიერთი სხვა (საქმეს ვორონინი, ჩისლენკო და თითო-ოროლა სხვა ვინმე ვერ უშველიდა). და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირის ნაკრები სანდერლენდში პოპულარობით მაინცდამაინც არ სარგებლობდა.

„უემბლის" სტადიონზე პორტუგალიელებთან ძნელ მატჩში უაღრესად მახვილგონივრულად და დახვეწილად ითამაშა მეტრეველმა. გაზეთებმაც და ხალხმაც უკვე სხვა ტონი და დამოკიდებულება გამოავლინეს. წერდნენ და ამბობდნენ: მეტრეველი ლამაზად თამაშობსო („ძლიერად" — ასეთ შემთხვევებში თავისთავად იგულისხმება. „ლამაზად" და „სუსტად" შეუთავსებელი ცნებებია). საბჭოთა გუნდში კიდევ ყოფილანო მაღალი კლასის ფეხბურთელები. (არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო, რომ იმავე მეტრეველმა პირდაპირ სამარცხვინოდ — უშნოდ და უნიათოდ ითამაშა სანდერლენდში ჩილის ნაკრებთან).

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ნაკრებმა ჩემპიონატში IV ადგილი დაიკავა. ეს, უდავოდ, შესანიშნავი წარმატებაა, რაც, პირველ ყოვლისა, დაცვის, ნახევარდაცვისა და მეკარეების კარგმა თამაშმა განაპირობა. მაგრამ ამ მიღწევამ თვალი არ უნდა დაგვახუჭინოს იმ ფაქტორებზე, რომლებმაც, ასე თუ ისე, ხელი შეუწყეს ჩვენი გუნდის ბგრერიგად საპატიო ადგილზე გასვლას და იმ უაღრესად სერიოზულ ხარვეზებზე, რომლებიც კვლავაც ახასიათებს მის თამაშს (ზოგიერთი ჟურნალისტი და სპეციალისტი უკვე „თვალდახუჭული" წერს და ძალიან საწყენი და გაუგებარია, როცა ქამელეონივით იცვლის სახეს: ინგლისში ერთს ამბობდა, აქ — მეორეს. ეს, ჩემი აზრით, ვერაფერი პატრიოტიზმია. პირიქით!).

ოდნავადაც არ მსურს დავამდაბლო გუნდის უფროსი მწვრთნელის ნ. მოროზოვის არაადამიანური ჯაფა, მონდომება და შრომა, რაც მან ნაკრების მომზადებას შეალია. მაგრამ უნდა გითხრათ: მოროზოვი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული. ჩვენ, უბრალოდ, ალჩუზე დაგვიჯდა კოჭი. თორემ, შეიძლება გუნდმა, რომელსაც არც ერთი ცენტრალური თავდამსხმელი არ უვარგა და, ფაქტიურად, მარცხენა გარემარბი ურ[illegible] ამგვარ ტურნირში საპრიზო ადგილი დაიკავოს?

ჩვენი ბედი, რომ ჯერ საკმაოდ ხელსაყრელ ქვეჯგუფში მოვხვდით, მერე კი უნგრელები მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოფხიზლდნენ საღათას ძილიდან და თანაც, რაკოშიმ, ევროპის ამ ერთ-ერთმა მაღალტექნიკურმა ფეხბურთელმა, ხუთიოდე მეტრიდან ჩვენი ცარიელი კარის გასწვრივ ჩამოწოდებულ ბურთს, უბრალოდ, ფეხი ააცილა!

მაგრამ სპორტი ბრძოლაა და ჩვენს ფეხბურთელებს ზოგიერთ სხვაზე უფრო მაგარი ნერვები აღმოაჩნდათ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვიტყვი, რომ პირადად მე ძალიან გამაოცა სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. სტაროსტინის პრესაში გამოთქმულმა მოსაზრებამ, — თითქოს ჩვენს ნაკრებს უკეთესი ადგილის დაკავება შეეძლო. ნეტარ არიან მორწმუნენი!

ინგლისის ჩემპიონატმა ბევრი სხვა საინტერესო ტაქტიკური სიახლე გვიჩვენა და გუნდების არა ერთი ტაქტიკური ეშმაკობის მოწმენიც გაგვხადა. მარტო ის რად ღირს, რომ პორტუგალიელებთან შეხვედრაში ინგლისელებმა ეუსებიოს — ამ უაღრესად მიზანმსწრაფი, ფეთქებადი, მრავალფეროვანი და დაუდეგარი დიდოსტატის მეურვეობა პირადად არავის დააკისრეს. და დადგა მოზამბიკელი ზანგი რაღაც ფსიქოლოგიური დილემის წინაშე და სანამ ყველაფერში ბოლომდე გაერკვა, მსაჯის საფინალო სასტვენიც გაისმა.

ზემოთ აღვნიშნე, სპორტი ბრძოლაა-მეთქი. მაგრამ ბრძოლა ხომ რაინდების ხვედრი უნდა იყოს. და რა სასიამოვნო იყო, როცა ბევრ მატჩში ნამდვილი ვაჟკაცური, ჯენტლმენური სული სუფევდა რა დამავიწყებს, მაგალითად, იმ ამაღელვებელ სურათს, როცა სიმონსმა მთელი მინდორი გაირბინა, რათა ბ. ჩარლტონთან მისულიყო და ხელის ჩამორთმევით მიელოცა... პორტუგალიის კარში ამ ინგლისელი „დასაქოქი მანქანის" მიერ გატანილი მეორე გოლი. ან იმას, მატჩის შემდეგ თვალცრემლიანმა ეუსებიომ ბენქსი რომ გადაკოცნა... ან იმას, იაშინმა თავის კარში 11-მეტრიანი დარტყმით გატანილი გოლი რომ მიულოცა ეუსებიოს...

წერილის ბოლოს ჟურნალისტთა ტრადიციული შეკითხვა მინდა მივცე... საკუთარ თავს:

— დაასახელეთ მსოფლიოს თქვენი ნაკრები.

აი, ჩემი ნაკრები: კავაზაშვილი (სსრ კავშირი); კაპოსტა (უნგრეთი), შულცი (გფრ), შნელინგერი (გფრ); ბეკენბაუერი (გფრ), მესეი (უნგრეთი), კოლუნა (პორტუგალია); ბენე (უნგრეთი), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), ეუსებიო (პორტუგალია), ბოლი (ინგლისი). ეს „მოხეტიალე" ფეხბურთელი, ჩვენი აზრით, მარცხენა ფლანგზეც აჯობებდა ყველას.

— კი, მაგრამ, პელე? — იკითხავთ თქვენ

პელე ჩემთვის ურყევად რჩება ფეხბურთის მეფედ, მაგრამ ეს ნაკრები ხომ ინგლისის ჩემპიონატის მიხედვითაა შედგენილი: პელეს კი ამ ჩემპიონატში თამაშის საშუალება არ მისცეს...

მ. კაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სანდერლენდი — ლონდონი — თბილისი.

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი. უნგრელთა ცენტრალური თავდამსხმელი ალბერტი თავური დარტყმით გზავნის ბურთს მეტოქის კარისკენ. მას გულდაგულ დარაჯობენ დანილოვი (№ 10) და ვორონინი (№ 12).**

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).



## დიდი საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში გაისად გაიმართება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც თანამედროვეობის მხოლოდ უძლიერესი დიდოსტატები ითამაშებენ.

დიდოსტატთა ტურნირის გარდა ჩატარდება სხვა შეჯიბრებებიც, უცხოელ დიდოსტატთა სეანსები და შეხვედრები ჭადრაკის მოყვარულებთან. ახლა სსრ კავშირში 5 მილიონი ორგანიზებული მოჭადრაკეა.

●

## მ. მატულოვიჩის გამარჯვება

ქ. იმპერიაში (იტალია) დამთავრდა ყოველწლიური საჭადრაკო ფესტივალი. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა.

I ადგილი დაიკავა დიდოსტატმა მ. მატულოვიჩმა (იუგოსლავია), რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ დიდოსტატი დ. ჩირიჩი და ოსტატი ა. ნიკოლიჩი (ორივე — იუგოსლავია).

# ყოველი მხრიდან

### პერ ნორუპი გაიშვიათებული ჰაერის შესახებ

მთელი წინასაოლიმპიადო საარეპეტიციო კვირა მეხიკოში ყველა გუნდის ექიმმა სპორტსმენებზე მაღალი მთის გაიშვიათებული ჰაერის ზემოქმედების შესწავლას დაუთმო. განსაკუთრებით არავინ დაშავებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დანიელ პერ ნორუპს. ეს 22 წლის კოპენჰაგენელი ჭაბუკი საგზატკეცილო ველორბოლაში მონაწილეობდა. რამდენიმე კილომეტრი რომ გაიარა, თავი ცუდად იგრძნო. თავდაპირველად უნდოდა სულ დაეტოვებინა დისტანცია, მერე გადაწყვიტა გუნდისათვის არ ეღალატნა, მაგრამ მე-19 კილომეტრზე უეცრად გაფითრდა და ველოსიპედიდან გადავარდა. ექიმმა დაასკვნა, რომ ეს უეცარი გულის წასვლა ჟანგბადის უკმარობამ გამოიწვია. კიდევ კარგი, გზატკეცილის გასწვრივ ჟანგბადის ბალიშებით შეიარაღებული ექიმები იყვნენ ჩამწკრივებული. ნორუპი სწრაფად მოვიდა გონს. დანიაში რომ დაბრუნდა, მან საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა მეხიკის ოლიმპიური თამაშებისთვის აკლიმატიზაციის თაობაზე:

„ტყუილად ნუ გგონიათ იმედი, რომ ამას რამდენიმე დღეში მოახერხებთ. მაინცდამაინც ნუ შეგეშინდებათ მაღალმთიანი ადგილისა. საჭიროა მხოლოდ მოემზადოთ იქ საასპარეზოდ. მე ეს არ გამითვალისწინებია, უფრო ზუსტად, სათანადო მნიშვნელობა არ მივანიჭე. ყველა ჩემი ამხანაგი და კოლეგა სამი კვირით ადრე ჩავიდა მეხიკოში. მე უფრო გვიან გავემგზავრე და აი, შედეგიც: მხოლოდ მე გამიჭირდა უჟანგბადოდ, მხოლოდ მე მივატოვე დისტანცია. აქედან დასკვნი: სპორტსმენებმა განსაზღვრული დრო უნდა დაუთმონ აკლიმატიზაციას, შინ შეეჩვიონ იმ პირობებს, რომელშიც გამოსვლა მოუხდებათ. დარწმუნებული ვარ, მაშინ მეხიკოში არც დაშავდება ვინმე, არც რაიმე გაუგებრობა მოხდება".

### ცოტაოდენი „სასწაული"

განთქმული დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი ჰ. ჰალერი, რომელიც ინგლისის ჩემპიონატში გერმანიის ნაკრებში გამოდიოდა, უკვე კარგა ხანია თამაშობს ცნობილ იტალიურ კლუბში — „ბოლონიაში". რაც ლონდონიდან დაბრუნდა, ჰალერზე მოთხოვნილებამ განსაკუთრებით იმატა. დასავლეთგერმანული კლუბები, რომელთაც ადრე არ შეეძლოთ ამ ფეხბურთის ვარსკვლავისათვის იმდენი ფული გადაეხადათ, რამდენსაც „ბოლონიის" ხელმძღვანელები უხდიდნენ, უეცრად საოცრად ხელგაშლილები გახდნენ.

მას შემდეგ, რაც კლუბმა „ფკ კიოლნმა" ჰალერს გუნდის ძირითად შემადგენლობაში გამოსვლა შესთავაზა და საკმაოდ მოზრდილ თანხასაც დაჰპირდა, დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი დათანხმდა მის წინადადებას.

„მე რაც უნდა იყოს, პატრიოტი ვარ, — უთხრა მან ჟურნალისტებს, — და ამიტომ გფრ-ში თამაში ჩემთვის გაცილებით უფრო სასიამოვნოა, ვიდრე უცხოეთში". თუმცა ესეც კია, რომ ჰალერმა მაშინვე დაფქვა თავისი უეცარი გადაწყვეტილების ნამდვილი მიზეზი:

„და, საერთოდაც, მეყო ხეტიალი. რაც „ბოლონიაში" ვარ, 20-ბინიანი სახლი შევიძინე და ვილაც ვიყიდე. კიოლნში ჩემი შემოსავალი საგრძნობლად გაიზრდება მინდა ესოდენ სახელგანთქმული ეკონომიური სასწაულის მცირეოდენი ნაწილი მაინც ვიგდო ხელთ. დარწმუნებული ვარ, ჩემთვის ეს გაცილებით იოლი იქნება, ვიდრე ასობით ათასი სხვა ჩემი თანამემამულისთვის".

### ანაპოლისის ტრაგედია

ცენტრალური ბრაზილიის ქალაქი ანაპოლისი გლოვას მოუცავს. სახლები ძაძითაა მოსილი. ხალხი მხოლოდ მუქ ტანსაცმელში გამოწყობილი დადის. საქმე ის გახლავთ, რომ ამ დღეებში ქალაქთან ახლოს დაიღუპა თითქმის მთელი ფეხბურთის გუნდი.

ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ანაპოლისის ფეხბურთელები ჩასხდნენ ავტობუსში, რომელსაც ისინი უახლოეს ქალაქში უნდა ჩაეყვანა. იქ ტარდებოდა შეხვედრა ადგილობრივ ნაკრებთან. ფეხბურთელები ჩქარობდნენ და მძღოლი რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიერეკებოდა მანქანას. ერთ-ერთ გზაჯვარედინზე ავტობუსი ხის შეასკდა და გადაბრუნდა. სანიტრები რომ მივიდნენ, 10 კაცი უკვე მკვდარი იყო. ბევრი ფეხბურთელი მძიმედ დაშავებული მიიყვანეს საავადმყოფოში.

— „ჩვენი საუკეთესო სპორტსმენების დაღუპვა ანაპოლისის ჭეშმარიტი ტრაგედიაა", — განაცხადა ფეხბურთის საქალაქო ფედერაციის პრეზიდენტმა.

▲ **ბუდაპეშტი.** თანამედროვე ხუთჭიდში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტები — უნგრელები მელბურნს გაფრინდნენ. გუნდის შემადგენლობაში არიან ა. ბალცო, ი. მონა, ფ. ტიორიოკი და სათადარიგო ი. მოცარი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ტიორიოკმა განაცხადა, რომ შესანიშნავ ფორმაშია და დიდი იმედები აქვს ავსტრალიაში მსოფლიო ჩემპიონატისა.

▲ **პრაღა.** იუგოსლაველმა სპორტსმენმა, 24 წლის ვ. ცვეტკოვიჩმა, რომელიც 16 მაისს ფეხით გაუდგა გზას უჩვეულო ტურნეში ევროპის ქვეყნებში, გაიარა პლზენი. 5 თვის განმავლობაში მან 7.500 კილომეტრი დაფარა.

▲ **ლონდონი.** 27 წლის ინგლისელმა ა. ფილიპსმა 5 საათში, 12 წუთსა და 39,8 წამში დაფარა 80 კილომეტრზე მეტი „ყველაზე გრძელ რბენაში" 50 მილზე — ეს მსოფლიოს ახალი არაოფიციალური მიღწევაა. ფილიპსმა 8 წუთითა და 27,2 წამით გააუმჯობესა ადრინდელი (1957 წ.) საუკეთესო შედეგი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ფეხბურთი

## „პენიაროლი" — უძლიერესი კლუბი

**მადრიდი** 27 ოქტომბერი. გუშინ აქ გაიმართა საპასუხო მატჩი საკონტინენტთაშორისო თასზე ადგილობრივ „რეალსა" და ურუგვაის „პენიაროლს" შორის.

უმაღლესი საკლუბო პრიზისთვის მებრძოლთა პირველი მატჩი მონტევიდეოში, როგორც ცნობილია, მოგებული ჰქონდა „პენიაროლს" — 2:0. მადრიდელებმა ვერ შეძლეს რევანშის აღება საკუთარ სტადიონზე და მარცხი განიცადეს ზუსტად იმავე ანგარიშით — 0:2.

ანგარიში 1:0-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გახსნა როჩამ, ხოლო 37-ე წუთზე ურუგვაელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა სპენსერმა „რეალის" კარში ბრწყინვალედ გაიტანა მეორე გოლი.

ამრიგად საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა ურუგვაის „პენიაროლმა", რომელიც მისი მფლობელი ერთხელ უკვე იყო — 1961 წელს.

## ბაზრობათა თასზე

პლოვდივის სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი ბაზრობათა თასზე ადგილობრივ „სპარტაკსა" და პორტუგალიის განთქმულ გუნდ „ბენფიკას" შორის.

თავდაპირველად დაწინაურდა „ბენფიკა" (ბურთი გაიტანა იუსებიომ), მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს აეცდინათ მარცხი — 1:1.

## მოკლედ

● **ციურიხი.** ამოიწურა მეხიკოს ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირში განაცხადების შეტანის ვადა: ფიფა-ს აღმასკომისა და ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ხელთაა 66 ოლიმპიური ნაკრების განაცხადი.

● **პრაღა.** დაიწყო დიდი შეჯიბრება ფეხბურთელ ქალებს შორის. ამ შეჯიბრებაში, რომელსაც აწყობს ახალგაზრდული გაზეთი „მლადი სვეტი", ჩაება ქალთა 26 კოლექტივი.

## მესამე, დამატებითში...

მესამე, დამატებითი მატჩის ჩატარება გახდა საჭირო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში პოლონეთის ქალაქ ზაბჟეს „გურნიკსა" და ბერლინის „ფორვერტსს" შორის. იგი გაიმართა ნეიტრალურ სტადიონზე, ბუდაპეშტში.

გაიმარჯვეს პოლონელებმა — 3:1. მეოთხედფინალში ისინი ბულგარეთის ჩემპიონ „ჩერვენო ზნამიასთან" (ცსკა) ითამაშებენ.

## ა. რამსეი ემზადება

ინგლისის ფეხბურთელები გაცხოველებით ემზადებიან ევროპის ჩემპიონატის თამაშებისთვის. ჩრდილოეთ ირლანდიასთან მოგების (2:0) შემდეგ მსოფლიო ჩემპიონები შესარჩევი ჯგუფის ლიდერები გახდნენ, მაგრამ წინაა მეტად პრინციპული მატჩი შოტლანდიელებთან.

ბენქსთან („ლესტერ სიტი") ერთად ემზადება მეორე მეკარე ბონეტი („ჩელსი"). დაცვითი ხაზები, მწვრთნელის აზრით, უცვლელი უნდა დარჩეს. აქ გამოდიან კოენი („ფულჰემი"), უილსონი („ევერტონი"), სტაილსი („მანჩესტერ იუნაიტედი"), ჯ. ჩარლტონი („ლიდს იუნაიტედი"), მური („ვესტ ჰემ იუნაიტედი"). ბ. ჩარლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი"), პიტერსი („ვესტ ჰემ იუნაიტედი").

თავდასხმაში ა. რამსეის განზრახული აქვს ახალი ძალების გამოყენება. ბოლის („ევერტონი"), ჰერსტის („ვესტ ჰემ იუნაიტედი"), ჰანტისა („ლივერპული") და გრივსის („ტოტენჰემ ჰოტსპური") გარდა ემზადებიან საისონსი და ბირნსი (ორივე — „ჩელსი").

# ძალოსნურ მერიდიანებზე

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარეობს ძალოსანთა ტურნირები. სპორტსმენები უტევენ მსოფლიო რეკორდებს და ცდილობენ ამ შეჯიბრებებში აჩვენონ ის შედეგები, რასაც ამას წინათ დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატში ვერ მიაღწიეს.

**პარიზში** გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში თავი ისახელა ამერიკელმა **რ. ნიპმა (ქვესაშუალო წონა)**, რომელმაც მსოფლიოს **ახალი რეკორდი დაამყარა აჭიმვაში — 153 კგ.** ეს შედეგი ნახევარი კილოგრამით აღემატება მისსავე ამასწინანდელ მიღწევას. სამჭიდში ამერიკელმა 437,5 კგ დააგროვა. II ადგილზე გავიდა მსოფლიო ჩემპიონი მსუბუქ წონაში, საბჭოთა ძალოსანი ე. კაცურა — 430 კგ.

მსუბუქ წონაში ყველა ჩამოიტოვა მოსკოველმა ნ. ნაგაიცევმა — 395 კგ. საშუალო წონაში ტოლი არ ჰყავდა საბჭოთა სპორტსმენს ს. შარიპოვს — 452,5 კგ.

მძიმე წონის ათლეტთა შორის გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა რ. ბედნარსკიმ (აშშ) — 522,5 კგ. II ადგილზეა მოსკოველი ვ. პოლიაკოვი — 480 კგ.

ცნობილი იაპონელი ძალოსანი **ხ. ოუტი** ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატის ფიცარნაგზე არ გამოსულა, მაგრამ ქალაქ ოხიტაში ბრწყინვალედ იასპარეზა. ოუტის შედეგი **ატაცში — 142,5 კგ — მსოფლიოს ახალი რეკორდია ქვესაშუალო წონაში** და მისსავე წინანდელ მიღწევას 1 კილოგრამით აღემატება.



## ჩემპიონი და რეკორდსმენი

ამ სურათზე თქვენ ხედავთ შესანიშნავ იაპონელ ძალოსანს იოსინობუ მიაკეს. ახლახან ბერლინში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატში მან უძლიერესის სახელი მოიპოვა ქვემსუბუქ წონაში — 387,5 კგ (110+125+152,5). მიაკეს სპორტულ ბიოგრაფიაში ეს უკვე მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მეხუთე მედალია. ამას წინათ, ბერლინის ფიცარნაგზე მან მსოფლიოს რეკორდიც გაიმეორა აკვრაში. ატაცში, მართალია, თავისსავე მსოფლიო რეკორდს 1,5 კგ-ით გადააჭარბა, მაგრამ აწონაზე უარი თქვა და ეს შედეგი ოფიციალურ რეკორდად არ დამტკიცდება. სამშობლოში ჩასვლის შემდეგ ქალაქ ოხიტაში გამართულ შეჯიბრებაში იოსინობუმ 124 კგ აიტაცა და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ქვემსუბუქ წონაში ი. მიაკეს მეტოქეთა შორის იყვნენ მისი ძმა იოსიუკი და პოლონელი ათლეტი გ. ნოვაკი. როგორც ცნობილია, პოლონელმა II ადგილი დაიკავა (382,5 კგ), ხოლო იოსინობუს ძმამ — III (370 კგ).

სხვათა შორის, აჭიმვაში ასპარეზობისას სასაცილო ამბავი მოხდა: მსაჯებმა ჯერ გამოაცხადეს — იოსინობუ მიაკემ 115 კგ ვერ დაძლიაო, მერე შეცდომა გაასწორეს და ბოდიში მოიხადეს: ეს იოსინობუ კი არა, იოსიუკი იყოო (ისინი ძალიან გვანან ერთმანეთს). ძმები გულიანად ხარხარებდნენ, თუმცა, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი მალე „დადინჯდა", — მან, მართლაც, ვერ აჭიმა 115 კგ. იოსიუკი კი 125 კგ-ს შეეჭიდა და იმარჯვა კიდეც. იოსინობუს ელოდა მძიმე ბრძოლა, რომელიც მან ბრწყინვალედ დააგვირგვინა.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი და საღამოს დასწრებული სწავლების ფაკულტეტის დეკანატი აცხადებს:

ა. წ. 10 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტთა დასახმარებლად ინსტიტუტში ჩატარდება კონსულტაციები შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ორშაბათი. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, ფიზიოლოგია, ანატომია.

სამშაბათი. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, პოლიტეკონომია, ფიზიოლოგია, ანატომია, ფიზიკური აღზრდის თეორია.

ოთხშაბათი. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია.

ხუთშაბათი. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, ანატომია.

პარასკევი. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, ფიზიკური აღზრდის თეორია.

შაბათი. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, პოლიტეკონომია, ფიზიოლოგია.

კონსულტაციების დასაწყისი 17 საათზე.

ამავე დღეებში სპეციალური ცხრილის მიხედვით იწარმოებს გამოცდები ზამთრისა (მომავალი) და ზაფხულის (დავალიანება) სასესიო საგნებში.

სტუდენტები, რომლებიც ზაფხულის სასესიო დავალიანებას 15 დეკემბრამდე არ დაფარავენ, ზამთრის საგამოცდო სესიებზე არ დაიშვებიან.

ზამთრის სესიები დაუსწრებელი ფაკულტეტის ყველა კურსის სტუდენტთათვის დაიწყება 1967 წლის 4 იანვარს.

დაუსწრებელი და საღამოს დასწრებული სწავლების ფაკულტეტის დეკანატი.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

**საამბო.** სპორტის სასახლე. 29-31 ოქტომბერი. სსრ კავშირის პირადი პირველობის ფინალური ტურნირი. დასაწყისი: 29 და 30 ოქტომბერს 11 ს. და 18 ს., 31-ში — 17 ს.

ИНДЕКС 68443 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 06111